ვირა
მედიაჰოლდინგი

მარიამ ჯაში ამერიკელ რეჟისორს, დევიდ ლინჩს შეხვდა

0

By kvira on 19/11/2017 14:52 | საზოგადოება

საქართველოს პარლამენტს დღეს ოფიციალური ვიზიტით ამერიკელი რეჟისორი დევიდ ლინჩი და დევიდ ლინჩის ფონდის (DLF) დელეგაციის წევრები ესტუმრნენ.

სტუმრებს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ, მარიამ ჯაშმა და კომიტეტის წევრმა, ალექსანდრე ქანთარიამ უმასპინძლეს.

შეხვედრას ესწრებოდნენ კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე და განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი. მასპინძლებმა სტუმრებს ქართული კინოს ისტორია გააცნეს.

მათ, ასევე, ისაუბრეს იმ შესაძლებლობებზე, რომელიც არსებობს რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტისა და სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო უნივერსიტეტების ბაზაზე და რომელიც, პირველ ეტაპზე, შეიძლება გამოყენებული იქნას ახალი სკოლის დაფუძნების თვალსაზრისით.

„ასევე, შეიძლება იყოს საუბარი ერთობლივ კინოპროდუქციებსა და კინოფესტივალებზე, რომელიც კინოინდუსტრიის გაგრძელება იქნება. ის TM-ტექნიკა, რომელიც გამოიყენება, ასევე იქნება გათვალისწინებული პროგრამული მიმართულებებით", -აღნიშნა კომიტეტის თავმჯდომარემ. მარიამ ჯაშის ინფორმაციით, დევიდ ლინჩის ფონდი 35-ზე მეტ ქვეყანაში ფუნქციონირებს.

მისი თქმით, დევიდ ლინჩის ფონდი სხვადასხვა ქვეყანაში ფსიქოსოციალური პროგრამით ეხმარება ომის ვეტერანებსა და საგზაო მოძრაობის შედეგად დაზარალებულ ადამიანებს. „უდიდესი ამერიკელი რეჟისორის სურვილია, საქართველოში დაფუძნდეს საერთაშორისო კინოუნივერსიტეტი. ჯერ მხოლოდ კონცეფციის დონეზეა ამ საკითხის განხილვა. დიდი იმედი მაქვს, რომ ეს სურვილი სულ მალე რეალობად იქცევა", -განაცხადა მარიამ ჯაშმა.

მისი თქმით, ვიზიტის ფარგლებში სტუმრებისთვის დაგეგმილია ანსამბლ „ერისიონის" საგანგებო სარეპეტიციო ჩვენება, ქართული ღვინის დაგემოვნება, ქართული სამზარეულოს გაცნობა.

„ჩემთვის, როგორც განათლების, მეცნიერებისა და კულტურის თავმჯდომარისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ მოკლე ვიზიტის პერიოდში დევიდ ლინჩი მაქსიმალურად გაეცნოს ქართულ კულტურას, ჩვენს ტრადიციებს. დიდი იმედი მაქვს, რომ ამ ვიზიტის შემდეგ უდიდესი ამერიკელი რეჟისორი გახდება საქართველოს ერთგვარი ელჩი ჰოლივუდში", – აღნიშნა მარიამ ჯაშმა.

კომენტარები

0 კომენტარი

MARIAM JASHI MET WITH THE AMERICAN FILM DIRECTOR – DAVID LYNCH

The famous American film director and David Lynch Foundation delegation paid an official visit to the Parliament of Georgia.

The guests were hosted by the Chairperson of the Committee of Education, Culture and Science of Georgia Mariam Jashi and the member of the Committee Nukri Kantaria. The meeting was also attended by the Minister of Culture Mikheil Giorgadze and the Minister of Education Mikheil Chkhenkeli.

The hosts introduced Georgian film history to the geusts. They also discussed the possibilities that exist on the base of Rustaveli Film and Theatre University as well other private or state Universities which might be used at this stage for establishing of a new Film University.

"Also we can discuss the possibilities of joint film productions and film festivals which will be the continuation of the film industry... TheTM technique which is implemented will also be taken into consideration in the program development", -noted the chairperson of the Committee. According to Mariam Jashi David Lynch Foundation is actively working in more than 35countries. As she noted David Lynch Foundation helps war veterans and victims of car accidents with the psycho-social program. The American film director's greatest will is to establish an international film university in Georgia. This question is still on the concept level. I very much hope that this will can soon become a reality. According to her in scope of the visit the guests will attend the reherasal performance of the Ensemble Erisioni, taste Georgian wine and cuisine. "For me as for the Chairperson of the Education, Science and Culture it's very important to introduce David Lynch to the Georgian culture and traditions as much as possible during this short visit. I hope that after this visit the greatest American film director will become a Georgian Ambassador in Hollywood", - announced Mariam Jashi.